



**საქართველოს იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო**

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030422486711314

**№ 04-55/ო**

**07 / მარტი / 2014 წ.**

**ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 25 ნოემბრის N04-463/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N397 დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N158 დადგენილებით შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის N279 დადგენილებით დამტკიცებული „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ზოგიერთი კომპონენტის („პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“; „შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება - შიდა ქართლის სოფლებში სოფლის ექიმების/ექთნების გამართული მუშაობისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება“) და „სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირების“ სახელმწიფო პროგრამის „სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურების რეფორმირების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების“ კომპონენტის ფარგლებში გაწეული მომსახურების ანგარიშგებისათვის განსაზღვრული ფორმების დაზუსტების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის 4 მარტის N01/17687 (N04/17067, 04.03.2014 წ.) წერილის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/5 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

1. „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 25 ნოემბრის N04-463/ო ბრძანებაში (სააგენტოს 2014 წლის 28 თებერვლის N04-46/ო ბრძანებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული N23 და N25 დანართები შეიცვალოს ამ ბრძანებაზე დართული იგივე ნომრის მქონე დანართებით (დანართი N23, N25);

ბ) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ ანგარიშგების ფორმებს დაემატოს ბრძანებაზე

დართული ფორმა, N26 დანართის სახით და აღნიშნული ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის N279 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლების მიერ საანგარიშო პერიოდში სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტოში წარმოსადგენი ანგარიშგების ფორმები (დანართი N1–21; N23–N26);“

2. სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტმა (ნ. სანაძე) უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების N25 დანართის შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრისათვის“ გაგზავნა.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტით წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმა N26 გამოყენებულ იქნეს “სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირების” სახელმწიფო პროგრამის “სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურების რეფორმირების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების” კომპონენტის ფარგლებში, 2014 წლის თებერვლიდან გაწეული მომსახურების დამუშავებისას.

4. ძალაში დარჩეს “ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ” სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 25 ნოემბრის N04–463/ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” სააგენტოს 2014 წლის 28 თებერვლის N04–46/ო ბრძანებით განსაზღვრული სხვა პირობები.

5. სააგენტოს ადმინისტრაციამ (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

ნ. სანაძე